

ტურიზმის ზონალობის კარტოგრაფიული მეთოდები რაჭის რეგიონის მაგალითზე

თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმი ერთ-ერთი უდიდესი და სწრაფად გაფართოებადი ინდუსტრიაა, რომელიც მილიონობით ადამიანის დასაქმებას უწყობს ხელს. მას, ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ერთად, განვითარებადი გლობალური ეკონომიკის ორ ყველაზე დინამიურ მოტივატორად მიიჩნევენ, რომელიც ეკონომიკური ზრდის, სიმდიდრის გადანაწილებისა და კაპიტალის განვითარების შესაძლებლობებს იძლევა.

ტურიზმის განვითარების უმთავრესი გზა მისი ზუსტი დაგეგმარებაა, რომელიც კომპლექსურ კვლევასა და ანალიზზეა დამოკიდებული. დღეს ეს დარგი წარმოდგენილია ციფრული რუკების, კარტოგრაფიული მოდელირებისა და კარტოგრაფიული ანალიზის გარეშე, რასაც ტურიზმის ზონალობისკენ მივყავართ.

როგორც მსოფლიო სამეცნიერო პრაქტიკიდან ჩანს, ტურიზმის ზონალობა კარგად მუშაობს იმ ქვეყნებში, სადაც ტურიზმი სუსტად არის განვითარებული, თუმცა მას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს.

წარმოდგენილი პროექტის კვლევის პროცესში გამოყენებულია სტატისტიკური მონაცემები, კარტოგრაფიული მეთოდები და გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემების (GIS) კომპიუტერული მოდელირება. ეს უკანასკნელი იძლევა კვლევის პრობლემების ყოვლისმომცველ ხედვას, ახდენს ინფორმაციის ანალიზს და იძლევა პროგნოზირების საშუალებას.

საკვლევ რეგიონად შერჩეულია რაჭა. კვლევის მიზანია გეოტურიზმის განვითარებისა და ახალი დაცული ტერიტორიების დაგეგმარებისთვის ტურიზმის ზონალობისა და კარტოგრაფიული ანალიზის საფუძვლების მომზადება. რაჭის რეგიონში ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ბუნების კონსერვაციას, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას, მიგრაციის შეჩერებას და მოსახლეობის ეკონომიკურ სარგებლობას.

Cartographic methods of tourism zoning on the example of Racha region

In the modern world, tourism is one of the largest and fastest growing industries, employing millions of people. It, along with information technology, is considered to be one of the two most dynamic drivers of the emerging global economy, providing opportunities for economic growth, wealth redistribution, and capital development.

The main way to develop tourism is its precise planning, which depends on complex research and analysis. Today, this field is unthinkable without digital mapping, cartographic modeling and cartographic analysis, which leads to the zoning of tourism.

As can be seen from world scientific practice, the zoning of tourism works well in countries where tourism is poorly developed, although it has great potential for development.

Statistical data, cartographic methods and computer modeling of Geographic Information Systems (GIS) are used in the research project of the presented project. The latter provides a comprehensive view of research problems, analyzes information, and provides forecasting.

Racha has been selected as the study region. The aim of the study is to prepare the basics of tourism zoning and cartographic analysis for the development of geotourism and the planning of new protected areas. The development of tourism in the Racha region will contribute to nature conservation, the creation of new jobs, the cessation of migration and the economic benefit of the population.